საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **2010 წლის 11 ოქტომბერი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 21

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 26 დეკემბრის №721 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის–უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების" დებულების მე-16 მუხლის მე–4 პუნქტის, საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი №01-ის (11.10.2010) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ იქნას გელა ბერიძე.

2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს 10 (ათი) დღის ვადაში განიხილოს დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული კანდიდატურის დამტკიცების საკითხი.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია